საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 74 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

„სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 17/02/2015, 040170020.10.003.018444) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნების დღიდან და ძალაშია ორი წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 17 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი